გვ. 2

რეგიონული ახალგაზრდული სამეწარმეო პროექტის ფარგლებში, გამარჯვებული 5 პროექტი საგრანტო თანხით დაჯილდოვდა

გვ. 3

RDFG 4 სხვადასხვა ქვეყნის წამომადგენლებთან ერთად, პროექტის GUIDE გაცნობის მიზნით ლატვიაში იმყოფებოდა

გვ. 3-4

RDFG-ის ბენეფიციარებმა მონაწილეობა მიიღეს ქალაქ თეთრიწყაროში გამართულ კულტურული მემკვიდრეობის ფორუმში

გვ. 4-5

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ჟურნალისტები თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ სოფლის განვითარების პროექტებს ესტუმრნენ

გვ. 6

USAID-ის ზრდა პროექტის ფარგლებში, RDFG აცხადებს რეგისტრაციას რეგიონული ახალგაზრდული სამეწარმეო პროექტის II ფაზაში მონაწილეობის მისაღებად

გვ. 7-8

ტრანსსასაზღვრო პროექტის „კუდსაცავების მართვის საშუალებების უსაფრთხოების გაუმჯობესების ხელშეწყობა საქართველოსა და სომხეთში“ ფარგლებში, შემაჯამებელი კონფერენცია გაიმართა

გვ. 8

პროექტის "ვიშეგრადის სოფლის განვითარების გამოცდილება მდგრადი განვითარებისათვის" ფარგლებში, სლოვაკური არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოპილისის“ ექსპერტები თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს ესტუმრნენ

USAID ПРОЕКТИ ЗРДА САКАРТВЕЛОШИ ZRDA ACTIVITY IN GEORGIA Chemonics

რეგიონული ახალგაზრდული სამეწარმეო პროექტის ფარგლებში, გამარჯვებული 5 პროექტი საგრანტო თანხით დაჯილდოვდა

2019 წლის 7 სექტემბერს, RDFG-ის რეგიონული ახალგაზრდული სამეწარმეო პროექტის პირველი ფაზის დახურვის ცერემონია საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოში (GITA) გაიმართა, რომლის ფაგრლებშიც საგრანტო კომისიამ წარმოდგენილი 14 სამეწარმეო ბიზნეს იდეა შეაფასა, რის შემდეგაც გამოვლენილ გამარჯვებულ 5 პროექტს 10 000, 6 000, 6 462, 3 000 და 3 600 ლარის ოდენობის საგრანტო თანხა გადაეცა. პროექტს ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) USAID ზრდა პროექტის ფარგლებში ახორციელებს და მისი მიზანია მეწარმეობის მეშვეობით სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების გაძლიერება.

პროექტის გამარჯვებულები არიან: ესმა ციხელაშვილი – ასპინძა, ნაზი ანთიძე – ადიგენი, სალომე ქარდავა – ზუგდიდი, გიორგი ხუროშვილი – გორი, გიორგი ნიპარიშვილი – კასპი.

პროგრამის ფარგლებში, სამეწარმეო ტრენინგი 114 მონაწილეს 9 სამიზნე მუნიციპალიტეტში ჩაუტარდა. წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების საფუძველზე, 18 მათგანი შეირჩა, რომლებმაც თავიანთი ბიზნეს იდეების პროექტებად გარდაქმნაზე, ტრენერებსა და მოწვეულ ექსპერტებთან ერთად, სამეწარმეო ბანაკში იმუშავეს. პროექტის მეორე ფაზის დასასრულს, საგრანტო კომისიის წინაშე თავიანთი იდეის წარსადგენად მათ ე.წ. პიჩის მომზადება დაევალათ.

„პიჩინგის“ დღის ფარგლებში, პროექტის მონაწილეებს ჰქონდათ 5 წუთი იმისთვის, რომ თავიანთი იდეა საგრანტო კომისიისთვის წარედგინათ. ჯამში კომისიის წინაშე 14 პროექტის ავტორი წარდგა. საბოლოოდ, საგრანტო კომისიას მიეცა დრო, რათა წინასწარ შემუშავებულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, პროექტები შეეფასებინა და გამარჯვებულები გამოევლინა. საგრანტო კომისია წარმოდგენილი იყო შემდეგი შემადგენლობით: თიბისი ბანკის ვიცეპრეზიდენტი ნიკა ქურდიანი, აწარმოე საქართველოშის მეწარმეობის განვითარების სააგენტოს კომპონენტის მენეჯერი თეო ბაბუნაშვილი, GITA-ს სტარტაპ პროექტების ხელმძღვანელი თეიმურაზ მამაცაშვილი, USAID ზრდა პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე ქეთი ჭუმბურიძე და კრისტალის დამფუძნებელი არჩილ ბაკურაძე.

რეგიონული ახალგაზრდული სამეწარმეო პროექტი 9 სამიზნე მუნიციპალიტეტში ხორციელდება: ზუგდიდი, ბორჯომი, ასპინძა, ადიგენი, ნინოწმინდა, მარნეული, ბოლნისი, კასპი და გორი. პროგრამის მონაწილეებს ბიზნეს იდეების წარდგენა 4 მიმართულებით ევალებათ: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ინოვაცია/ტექნოლოგიები ან შემოქმედებითი ინდუსტრიები. პროექტის მეორე ფაზა 2019 წლის შემოდგომაზე დაიწყება.

ევროკავშირი საქართველოსთვის ENPARD

RDFG-ის ბენეფიციარებმა მონაწილეობა მიიღეს ქალაქ თეთრიწყაროში გამართულ კულტურული მემკვიდრეობის ფორუმში

2019 წლის 15 სექტემბერს, ასოციაციის სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) ბენეფიციარებმა მონაწილეობა მიიღეს ქალაქ თეთრიწყაროში გამართულ კულტურული მემკვიდრეობის ფორუმში. ღონისძიების მთავარი მიზანი იყო ფართო საზოგადოებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პატრონობის საქმეში ჩართვა. ფორუმის ფარგლებში, გაიმართა ეთნოგრაფიული მასალების, ტრადიციული რეწვის, ფერწერული ტილოების, მოზაიკებისა და სხვა ხელოვნების ნიმუშების გამოფენა. ღონისძიებაზე ევროკავშირის მიერ დაფინანსებული და RDFG-ის მიერ განხორციელებული პროექტების ბენეფიციარებმა თავიანთი ნაწარმი წარადგინეს: ალექსანდრე დისტილერი – ქვევრის ვისკი, ღვინო, ჭაჭა, შარბათი; წინწყარო+ – ყველი და სხვა სახის რძის პროდუქტები; კოოპერატივი ქვის წყარო – თაფლი; ეთნო – კალვადოსი; ჟოლოს წარმოება.

ფორუმი საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა გახსნა და ისაუბრა იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება საქართველოსთვის. აღნიშნულის შემდეგ, მან გამოფენა მოინახულა, სადაც RDFG-ის ბენეფიციარების მიერ წარმოდგენილ პროდუქტებსაც გაეცნო. პრეზიდენტი განსაკუთრებით დაინტერესდა ალექსანდრე დისტილერის წარმოების პროცესით, რომელიც ვისკის დასაყენებლად ქვევრს იყენებს.

RDFG 4 სხვადასხვა ქვეყნის წამომადგენლებთან ერთად, პროექტის GUIDE გაცნობის მიზნით ლატვიაში იმყოფებოდა

2019 წლის 1-9 სექტემბერს, ალტერნატიული განათლების აკადემიასთან თანამშრომლობის ფარგლებში, ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) მსოფლიოს 4 ქვეყნის (ლატვია, ბულგარეთი, იტალია, ესპანეთი) პროფესიონალებთან ერთად, პროექტის „გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ წარმატებული სტრატეგიის განსაზღვრა“ (GUIDE) გაცნობის მიზნით ლატვიაში იმყოფებოდა. შეხვედრაზე, RDFG-ის თავმჯდომარემ, ვანო გრიგოლაშვილმა, ჩვენი ორგანიზაციის შესახებ პრეზენტაცია წარადგინა და იმ აქტივობებზე ისაუბრა, რომლებსაც RDFG გენდერული თანასწორობისა და თანაბარი შესაძლებლობების მიმართულებით სხვადასხვა პროექტის ფარგლებში ახორციელებს. საქართველოდან ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ ალტერნატიული განათლების აკადემიისა და საქართველოს ომბუდსმენის წარმომადგენლები.

პროექტი „გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ წარმატებული სტრატეგიის განსაზღვრა“ (GUIDE) გენდერული ნიშნით გახშირებული ძალადობისა და ახალგაზრდების მიერ ამგვარი ძალადობის წინააღმდეგ აქტიური, ფოკუსირებული და მუდმივად გაუმჯობესებული მეთოდების გამოყენებით ბრძოლის აუცილებლობის გაჩენის საპასუხოდ შეიქმნა. პროექტის მონაწილე ქვეყნების (ლატვია, იტალია, ესპანეთი, ბულგარეთი, საქართველო) ახალგაზრდული ორგანიზაციები და თემები გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციის მიზნით წლების განმავლობაში აქტიურობდნენ ახალგაზრდების განათლების გზით. ახალგაზრდები ხმამაღლა საუბრობდნენ თანაბარი უფლებებისა და შემწყნარებლობის შესახებ, ასევე, საკუთარი განსაცდელისა და გამოვლილი დაბრკოლებების გათვალისწინებით, მხარს უჭერდნენ ერთმანეთს არა მხოლოდ პირდაპირი გზით, არამედ მხარდამჭერი ქსელის შექმნითა და ძალადობის მსხვერპლთათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფით.

პროექტის მიზანია გააერთიანოს პროექტის მონაწილე ქვეყნების ახალგაზრდები, უზრუნველყოს ისინი უკვე არსებული და გამოცდილი ცოდნით, ასევე, გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლო პრაქტიკული უნარებით და გაუხსნას ახალი შესაპროექტის ბენეფიციარები ახალგაზრდები და გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლნი არიან. ახალგაზრდა მუშაკების გაუმჯობესებული უნარები მათთვის დამცავი ბადის როლს ითამაშებს და გააუმჯობესებს მათ მიერ მიღებულ მზრუნველობასა და მხარდაჭერას.

პროექტის პარტნიორი ორგანიზაციები არიან: Asociación Mundus, Proyecto Kieu, FutureNow (ბულგარეთ), Alternative Education Academy, Comunità Nuova და MARTA. პროექტი Erasmus+-სა და Jaunatnes starptautisko programmu aģentūra მხარდაჭერით ხორციელდება.

ევროკავშირი საქართველოსთვის ENPARD

RDFG-ის ბენეფიციარებმა მონაწილეობა მიიღეს ქალაქ თეთრიწყაროში გამართულ კულტურული მემკვიდრეობის ფორუმში

კულტურული მემკვიდრეობის ფორუმი საქართველოში პირველად გაიმართა. როგორც დაგეგმილია, სამომავლოდ ამგვარი ღონისძიებები საქართველოს სხვა რეგიონებშიც გაიმართება და ტრადიციულ სახეს მიიღებს. წელს ფორუმის ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს კულუტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგნტო, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ქვემო ქართლში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, ქვემო ქართლის მუნიციპალური თვითმმართველობები, საზოგადოებრივი გაერთიანება „საყდრისის კომიტეტი“ და კომპანია რიჩ მეტალს გრუპი (RMG).

კულტურული მემკვიდრეობის ფორუმს ესწრებოდა სახელმწიფო რწმუნებული ქვემო ქართლის რეგიონში შოთა რეხვიაშვილი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკოლოზ ანთიძე, თეთრიწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი გოდერძი ჩანქსელიანი და თეთრიწყაროს მერი გიორგი ქორიძე.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „სოფლის მდგრადი განვითარება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში“ ევროკავშირის პარტნიორი ასოციაციის „სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის“ (RDFG) მიერ ხორციელდება.

ევროკავშირი საქართველოსთვის ENPARD

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ჟურნალისტები თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ სოფლის განვითარების პროექტებს ესტუმრნენ

2019 წლის 17 სექტემბერს, პროექტის „სოფლის მდგრადი განვითარება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში“ ფარგლებში, აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ევროკავშირის ქვეყნების ჟურნალისტები თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ და ასოციაციის სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) მიერ განხორციელებულ სოფლის განვითარებას პროექტებს გაეცნენ. სტუმრები შეხვდნენ თეთრიწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფისა (LAG) და პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის RDFG-ის წარმომადგენლებს. ღონისძიების შემდეგ, ჟურნალისტები ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ ბენეფიციარებს – საკვები პროდუქტების მწარმოებელ კომპანია „ჩებასა“ და თოკების პარკის ატრაქციას ესტუმრნენ.

თეთრიწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფთან (LAG) შეხვედრაზე, ჟურნალისტებმა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი და ორგანიზაციის „ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის“ (RDFG) მიერ განხორციელებული სოფლის განვითარების პროექტის შესახებ ინფორმაცია მიიღეს. ასოციაციის პროექტის მენეჯერმა, ნელი რევაზიშვილმა პროექტის მთავარ მიზნებსა და საქართველოში სოფლის განვითარების პროცესში ევროკავშირის ლიდერ მიდგომის მნიშვნელობაზე ისაუბრა. ამასთან, LAG-ის აღმასრულებელმა დირექტორმა, ნინო ტიკურიშვილმა ადგილობრივი განვითარების ჯგუფის აქტივობებსა და მთავარ მიღწევებს გაუსვა ხაზი.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ჟურნალისტები თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ სოფლის განვითარების პროექტებს ესტუმრნენ

ევროკავშირი საქართველოსთვის
ENPARD

თეთრიწყაროს LAG 2017 წელს, ევროკავშირის ENPARD პროგრამის მხარდაჭერითა და RDFG-ის ხელშეწყობით დაარსდა. ეს არის პლატფორმა, რომელიც სამოქალაქო, კერძო და საჯარო სექტორების წარმომადგენლებს აერთიანებს იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის განვითარებას. LAG-ი აერთიანებს თეთრიწყაროში მცხოვრებ, 20-ვე თემის 97 წარმომადგენელს, მათ შორის არიან ეროვნული და რელიგიური უმცირესობები, დევნილები და ეკო-მიგრანტები.

თეთრიწყაროს ლაგთან შეხვედრის შემდეგ, სტუმრები ევროკავშირის ბენეფიციარს – საკვები პროდუქტების მწარმოებელ საწარმო „ჩება“-ს ესტუმრნენ. კომპანია ნახევარფაბრიკატებსა და მზა საკვებს აწარმოებს და ემსახურება, როგორც ადგილობრივებს, ისე ტურისტებს, ამასთან, ამარაგებს ადგილობრივ მაღაზიებსაც. კომპანიის დირექტორმა სტუმრების ხორცის წარმოების შესახებ უამბო და თავისი სამომავლო გეგმები გაუზიარა. ჟურნალისტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, სკვები პროდუქტების წარმოების პროცესი ენახათ და ქართული ტრადიციული გამომცხვარი კერძები დაეგემოვნებინათ.

აღნიშნულის შემდეგ, სტუმრები ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ კიდევ ერთ პროექტს, თოკების პარკის ატრაქციას ესტუმრნენ, სადაც თავად გადალახეს თოკებისა და ხის ძელაკებისაგან შემდგარი დაბრკოლებები. თოკების პარკის ატრაქცია კიდევ ერთი სოფლის განვითარების ინიციატივაა, რომელიც ამავე პროექტის ფარგლებში ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელდა. პარკი დაბა მანგლისში მდებარეობს და წარმოადგენს ეკო-ტურისტულ სანახაობას – თოკებისა და ხის ძელაკებისაგან შემდგარი დაბრკოლებების ერთობლიობას.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „სოფლის მდგრადი განვითარება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში“ ევროკავშირის პარტნიორი ასოციაციის „სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის“ (RDFG) მიერ ხორციელდება. პროექტი, მიზნად თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას ისახავს, რაც ინოვაციური სოციო-ეკონომიკური მოდელების დანერგვითა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენელების ჩართვის მეშვეობით მიიღწევა. ამ მიზნით, RDFG თანამშრომლობს აგრო-ტექნოლოგიების ასოციაციასთან (ATA) და ლიეტუვის ადგილობრივი განვითრების ჯგუფების ქსელთან (VVGT).

USAID-ის ზრდა პროექტის ფარგლებში, RDFG აცხადებს რეგისტრაციას რეგიონული ახალგაზრდული სამეწარმეო პროექტის II ფაზაში მონაწილეობის მისაღებად

ASOCIACIA სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) USAID-ის ზრდა პროექტის ფარგლებში, აცხადებს რეგისტრაციას რეგიონული ახალგაზრდული სამეწარმეო პროექტის II ფაზაში მონაწილეობის მისაღებად, რომლის მიზანია, მეწარმეობის მეშვეობით საქართველოს რეგიონებში (სოფლად) მცხოვრები ახალგაზრდების გაძლიერება. პროგრამის ფარგლებში, საგრანტო კომისიის მიერ გამოვლინდება მინიმუმ 3 გამარჯვებული ბიზნეს პროექტი – თითოეული მათგანი დაჯილდოვდება საგრანტო თანხით არაუმეტეს 10 000 ლარისა. პროგრამის მხარდამჭერები არიან აწარმოე საქართველოში, შემოქმედებითი საქართველო, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია კრისტალი, საქართველოს ეროვნული ბანკი და თიბისი ბანკი.

რეგიონული ახალგაზრდული სამეწარმეო პროგრამის პირველი ფაზის ფარგლებში, რომელიც 2019 წლის ივნის-სექტემბერში მიმდინარეობდა, 5 გამარჯვებული პროექტი უკვე შეირჩა, რომლებიც შესაბამისად დაჯილდოვდნენ საგრანტო თანხით: 10 000 ლარი, 6 000 ლარი, 6 462 ლარი, 3 600 ლარი და 3 000 ლარი. პროგრამის მონაწილეებმა ბიზნეს იდეები სხვადასხვა მიმართულებით წარადგინეს: ჭვავისა და წიწიბურის პურისა და ორცხობილის წარმოება – გორი; სუკულენტების წარმოება – ზუგდიდი; ტრადიციული ქართული ფოლკლორული საკრავების წარმოება – კასპი; პიკანტური ჯემების წარმოება – ასპინძა; მცირე მასშტაბის სამკერვალოს ხელშეწყობა – ადიგენი.

რეგიონული ახალგაზრდული სამეწარმეო პროექტი ითვალისწინებს 18-29 წლის ასაკის ახალგაზრდის სამეწარმეო ტრენინგში ჩართვას საქართველოს 9 სამიზნე მუნიციპალიტეტში (ზუგდიდი, ბორჯომი, ასპინძა, ადიგენი, ნინოწმინდა, მარნეული, ბოლნისი, კასპი და გორი). ტრენინგები განხორციელდება საქართველოს პირობებზე ადაპტირებული გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) სამეწარმეო-სატრენინგო სახელმძღვანელოს საფუძველზე. ტრენინგების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, რომელიც 5-6 ოქტომბერს გაიმართება, მონაწილეებს ეთხოვებათ წარმოადგინონ სამეწარმეო იდეები 4 მიმართულებით: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ინოვაცია/ტექნოლოგიები და შემოქმედებითი ინდუსტრიები.

პროგრამის მეორე ფაზაზე, მუნიციპალიტეტებში ჩატარებული ტრენინგების შემდეგ, 15 საუკეთესო სამეწარმეო იდეის (საპროექტო წინადადების) ავტორი ან ავტორთა გუნდი (მაქსიმუმ 3 ადამიანი) მიწვეულ იქნება სამეწარმეო-სასწავლო ბანაკში, სადაც გაივლიან დამატებით, ინტენსიურ ტრენინგებს წარმოდგენილი სამეწარმეო იდეების ბიზნეს პროექტებად გადასაქცევად. პროგრამის მეორე ფაზის საბოლოო ეტაპზე, საგრანტო კომისია გამოავლენს 3 გამარჯვებულ ბიზნეს პროექტს, რომლებიც დაჯილდოვდებიან საგრანტო თანხებით, თითოეული არაუმეტეს 10 000 ლარისა.

ტრანსსასაზღვრო პროექტის „კუდსაცავების მართვის საშუალებების უსაფრთხოების გაუმჯობესების ხელშეწყობა საქართველოსა და სომხეთში“ ფარგლებში, შემაჯამებელი კონფერენცია გაიმართა

2019 წლის 17-19 სექტემბერს, გაიმართა ტრანსსასაზღვრო პროექტის „კუდსაცავების მართვის საშუალებების უსაფრთხოების გაუმჯობესების ხელშეწყობა საქართველოსა და სომხეთში“ შემაჯამებელი კონფერენცია, რომელსაც საქართველოში ახორციელებს ასოციაციის სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) კატასტროფის რისკის შემცირების (DRR) ცენტრი. ღონისძიება მიზნად ისახავდა პროექტის ფარგლებში ჩატარებული აქტივობებისა და შემუშავებული საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური დოკუმენტების განხილვას, ამასთან, პროექტთან არსებული მრჩეველთა საბჭოს მეოთხე შეხვედრას.

მრჩეველთა საბჭო დაკომპლექტებულია გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) წყლისა და სამრეწველო ავარიების შესახებ გაერთიანებულ ექსპერტთა დროებითი ჯგუფის (JEG – Joint Ad Hoc Expert Group on Water and Industrial Accidents) წევრებითა და სხვა საერთაშორისო ექსპერტებით. გაერთიანებული ექპერტთა ჯგუფი (JEG) ფუნქციონირებს UNECE-ის კონვენციების „ტრანსსასაზღვრო წყალსადინარებისა და საერთაშორისო ტბების დაცვისა და გამოყენების შესახებ” და „სამრეწველო ავარიების ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ“ ფარგლებში.

შეხვედრაში მონაწილეობდა 11 სხვადასხვა ქვეყნის (საქართველო, გერმანია, სომხეთი, ავსტრია, უნგრეთი, რუმინეთი, სერბეთი, უკრაინა, ყირგიზეთი, ყაზახეთი, პოლონეთი) სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და სამთო-მომპოვებით სფეროში მომუშავე კერძო კომპანიები.

ჩვენი ორგანიზაციის, “ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის” ფარგლებში, ფუნქციონირებს კატასტროფის რისკის შემცირების ცენტრი (DRR Center), რომელიც ხელს უწყობს საგანგებო სიტუაციების მართვის სტრატეგიული და სისტემური მიდგომების დანერგვას როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე სამხრეთ კავკასიის რეგიონის დონეზე. ამ მიზნის მისაღწევად RDFG მონაწილეობს ტრანსსასაზღვრო პროექტში „კუდსაცავების მართვის საშუალებების უსაფრთხოების გაუმჯობესების ხელშეწყობა საქართველოსა და სომხეთში“. პროექტი საქართველოს ტერიტორიაზე მოიცავს მდინარე ყვირილას აუზს და საპილოტე პროექტი განხორციელდება ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

პროექტი მიზნად ისახავს საქართველოსა და სომხეთში არსებული შესაბამისი უფლებამოსილი სააგენტოებისა და სამრეწველო კომპანიების შესაძლებლობების გაძლიერებას ინდუსტრიული ავარიებით, მათ შორის კუდსაცავებიდან გამოწვეული საგანგებო სიტუაციების მართვის გაუმჯობესებისა და სამრეწველო კომპანიების მზადების დონის გაზრდის კუთხით.

პროექტის პირველ ეტაპზე ჩატარებულ იქნა კვლევა და შემუშავდა დოკუმენტი „საქართველოში კუდსაცავების მართვასთან დაკავშირებული არსებული კანონმდებლობის ანალიზი.“ აღნიშნულ კვლევაზე დაყრდნობით შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები კანონმდებლობაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, რეკომენდაციის სახით მომზადდა კუდსაცავების მართვის ნორმატიული აქტის ნიმუში ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისთვისაც. აღნიშნული დოკუმენტი წარედგინა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) წყლისა და სამრეწველო ავარიების შესახებ გაერთიანებულ ექსპერტთა დროებითი ჯგუფის (JEG – Joint Ad Hoc Expert Group on Water and Industrial Accidents) წევრებსა და სხვა საერთაშორისო ექსპერტებს. გაერთიანებულ ექპერტთა ჯგუფი (JEG) ფუნქციონირებს UNECE-ის კონვენციების „ტრანსსასაზღვრო წყალსადინარებისა და საერთაშორისო ტბების დაცვისა და გამოყენების შესახებ” და „სამრეწველო ავარიების ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ“ ფარგლებში.

პროექტი ხორციელდება კონსორციუმის მიერ, რომელშიც სომხეთის მხრიდან წარმოდგენილია სამეცნიერო ეკოლოგიური არასამთავრობო ორგანიზაცია „Eco Peace”-ის და საქართველოს მხრიდან ჩვენი ორგანიზაციის მიერ – ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის. პროექტის ფინანსური მხარდაჭერა ხორციელდება „ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიასა და ცენტრალი აზიის ქვეყნებში გერმანიის ფედერალური გარემოს დაცვისა და ბირთვული უსაფრთხოების სამინისტროს საკონსულტაციო დახმარების პროგრამის“ ფარგლებში.

საქართველოს მხრიდან პროექტი ხორციელდება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს, გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრის სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და ასევე ისეთ სამთო-მომპოვებით კომპანიებთან მჭიდრო თანამშრომლობით, როგორებიცაა “შპს ჯორჯიან მანგანეზი” და “არემჯი” (RMG).

პროექტის "ვიშეგრადის სოფლის განვითარების გამოცდილება მდგრადი განვითარებისათვის" ფარგლებში, სლოვაკური არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოპილისის“ ექსპერტები თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს ესტუმრნენ

2019 წლის 27-28 სექტემბერს, პროექტის "ვიშეგრადის სოფლის განვითარების გამოცდილება მდგრადი განვითარებისათვის" ფარგლებში, სლოვაკური არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოპილისის“ ექსპერტები ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სოფლის მდგრადი განვითარება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში“ მხარდასაჭერად, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს ესტუმრნენ.

ვიზიტის ფარგლებში, სლოვაკმა ექსპერტებმა თეთრიწყაროს მოსახლეობისათვის, მათ შორის, RDFG-ის ბენეფიციარებისთვის, 4 ტრენინგი ჩაატარეს. გარემოს დაცვასა და პროექტის დაგეგმვასთან დაკავშირებული ტრენინგის ფარგლებში, ტრენინგის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია გარემოს დაცვის შესახებ, თუ როგორ უნდა შეუწყონ ხელი ამ გზით ეკონომიკურ ზრდას, ჯანმრთელობისა და ზოგადად ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილების გაზიარებით, პროექტი მიზნად ისახავს თეთრიწყაროს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას ბუნების დაცვის გზით, რათა გაიზარდოს ეკონომიკური სარგებელი, განსაკუთრებით კი მდგრადი სოფლის მეურნეობისა და ტურიზმისაგან.

პროექტი "ვიშეგრადის სოფლის განვითარების გამოცდილება მდგრადი განვითარებისათვის" ხორცელდება როგორც ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სოფლის მდგრადი განვითარება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში“ შემავსებელი კომპონენტი, რომელიც წარმოადგენს 3 წლიან საგრანტო პროექტს. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „სოფლის მდგრადი განვითარება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში“ მიზნად თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას ისახავს, რაც ინოვაციური სოციო-ეკონომიკური მოდელების დანერგვითა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენელების ჩართვის მეშვეობით მიიღწევა. ამ მიზნით, RDFG თანამშრომლობს აგრო-ტექნოლოგიების ასოციაციასთან (ATA) და ლიეტუვის ადგილობრივი განვითრების ჯგუფების ქსელთან (VVGT).

ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის

(RDFG)

კონტაქტი

0322 24 05 01

info@rdfg.ge

www.rdfg.ge

https://www.facebook.com/WWW.RDFG.GE/

https://www.linkedin.com/company/rdfg---rural-development-for-future-georgia

გაბრიელ ისაკაძის ქ. 4, საქართველო, თბილისი, 0160